# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122182654**
თარიღი: **01/07/2022**

**ადრესატი:** ზურაბი წიკლაური
**პირადი ნომერი:** 01020005520
**მისამართი:** საქართველო, ქალაქი თბილისი, სიმონ მდივანის ქუჩა, N 5

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 28 ივნისის N01221791083-67 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ფუნქციური ზონის ცვლილებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია.

იმისათვის, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ იმსჯელოს N01221791083-67 განცხადების ფარგლებში მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხზე, საჭიროა წარმოადგინოთ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული თანხმობა/მინდობილობა თქვენთვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე, რომელიც გაცემული იქნება საკადასტრო ერთეულის მესაკუთრედ რეგისტრირებული სუბიექტის მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი N01221791083-67 განცხადება დარჩება განუხილველი.

აღნიშნული შუალედური გადაწყვეტილება დამოუკიდებლად არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს, მისი გასაჩივრება შესაძლებელია ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად. განუხილველი გადაწყვეტილების გასაჩივრება დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი